უნებლიე ემოციური ექსპრესიის დეკოდირების კვლევა ქალაქ თბილისში მოკრებილი ემპირიული მასალის საფუძველზე

თამარ ქარქაშაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სკოლის ფსიქოლოგი, ფსიქოლოგ-კონსულტანტი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რუსუდან მირცხულავა, ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

უნებლიე ემოციური ექსპრესიის დეკოდირების კვლევა ქალაქ თბილისში მოკრებილი ემპირიული მასალის საფუძველზე

აბსტრაქტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა კვლევათა სერია, რომელიც ეხება სპონტანური მიმიკური ექსპრესიის დეკოდირების საკითხს. ჩვენი ინტერესის ობიექტად იქცა ის, თუ რა სახით და რამდენად ადექვატურად ფასდება სხვის სახეზე აღბეჭდილი ემოციები საქართველოში (კონკრეტულად თბილისში) და დეკოდირების პროცესში რა როლს თამაშობს გენდერისა და ასაკის ფაქტორები. კვლევის მასალას წარმოადგენს თბილისის განსხვავებული უბნების ქუჩებში გადაღებული 30 ფოტო.

კვლევა მოიცავდა სამ ეტაპს: **I ეტაპი** - ემოციის თავისუფალი დეკოდირება; ცდისპირები საკუთარი შეხედულებისამებრ ახდენდნენ ემოციათა სახელდებას. (ც.პ. ასაკობრივი ჯგუფი 18-22 წწ). **II ეტაპი** - ემოციების დეკოდირება კეროლ იზარდის მიერ გამოყოფილი 10 ფუნდამენტური ემოციის საფუძველზე (ც.პ ასაკობრივი ჯგუფი18-22 წწ). **III ეტაპი** - ემოციების დეკოდირება კეროლ იზარდის მიერ გამოყოფილი 10 ფუნდამენტური ემოციის საფუძველზე (ც.პ. ასაკობრივი ჯგუფი 30-55 წწ). კვლევის მეორე და მესამე ეტაპებზე ცდისპირთა პასუხები შეფასდა მათი ადექვატურობის მიხედვით, ექპერტ-ფსიქოლოგების პასუხებთან შედარების საფუძველზე.

მიღებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კვლევის თავისუფალი სახელდების ეტაპზე (I ეტაპი) დეკოდირების პროცესში ყველაზე ხშირად ვლინდება გაკვირვებისა და სიხარულის. გამოვლინდა, რომ ცდისპირების პასუხები, უმეტესწილად, ემთხვევა კ. იზარდის მიერ გამოყოფილ 10 ფუნდამენტურ ემოციას. გამოვლინდა რამდენიმე (13 ფოტო) „პრობლემური“ ფოტო, რომელზედაც ასახული მიმიკის დეკოდირება განსაკუთრებულ სირთულეს უქმნიდა ცდისპირებს.

კვლევის მეორე ეტაპზე (ც.პ. ასაკობრივი ჯგუფი 18-22წწ.) დომინანტური ემოციის სახით გამოვლინდა გაკვირვებისა და სიხარული-სიამოვნების ემოციები. გენდერის მიხედვით არ გამოვლინდა სანდო სტატისტიკური სხვაობა მიღებულ

მონაცემებს შორის. ვარაუდის შესაბამისად, ცდისპირთა პასუხები ნაკლებად ადექვატური აღმოჩნდა; ცდისპირებმა ფოტოთა მხოლოდ ნახევარზე წარმოადგინეს ადექვატური (სწორი) პასუხები.

კვლევის მესამე ეტაპზე (ც.პ. ასაკობრივი ჯგუფი 30-55წწ.) ისევე, როგორც პირველ და მეორე ეტაპებზე, ყველაზე მაღალი სიხშირით სახელდება დადებითი ემოციები, როგორიცაა სიხარული-სიამოვნება და გაკვირვება, რაც ჩვენს მიერ ასე იქნა ინტერპრეტირებული: გაკვირვება ადამიანთა რეაქცია იყო ფოტოგადაღებაზე, ხოლო სიხარულის ემოცია, უბრალოდ, ადვილად ამოსაცნობია ღიმილი-სიცილის მიმიკის საფუძველზე. ცდისპირებმა ძირითადად სწორად მოახდინეს ემოციების დეკოდირება (19 ფოტო). კვლევის შედეგები არ ასახავს გენდერულ განსხვავებას. მივიღეთ სხვაობა ასაკობრივ ჯგუფებს შორის.